



საქართველოს ეკონომიკაში კლასტიზაციის გავრცელების პერსპექტივები

თენგიზ ცაბარაიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
zhvelia65@mail.ru

რეზიუმე

სტატიაში – „საქართველოს ეკონომიკაში კლასტიზაციის გავრცელების პერსპექტივები“ – განალიზებულია კლასტიზაციის ცნება, მისი არსი, მასზე სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებები და საუბარია იმაზე, რომ კლასტიზაცია დარგებს ჩაენაცვლებიან.

სტატიაში ნაჩვენებია ის ძირითადი უპირატესობები, რაც დარგებთან შედარებით კლასტიზაციას აქვთ. დახასიათებულია კლასტიზაციის

გავრცელების მდგომარეობა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ნათქვამია ისიც, რომ საქართველოში ეს პროცესი ეხლა იწყება და ამ მხრივ ყველაზე დიდი პერსპექტივა აქვს მშენებლობას, კერძოდ, ქ. თბილისის ბინათმშენებლობას.

საკვანძო სიტყვები: კლასტიზაცია, საწარმოო ჯგუფი, რეგიონი, სამშენებლო, კონკურენტუნარიანობა.

შესავალი

საზღვარგარეთის პრაქტიკაში უკვე დაიწყო ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სტრუქტურის ფორმირება როგორც არის კლასტიზაცია. მთელი რიგი გამოკვლევებით უცხოელმა მეცნიერებმა დაადგინეს კლასტიზაციის მაღალეფექტიანობა. ასეთ დროს საქართველოში თეორიულ დონეზე არ დაწყებულია მისი კვლევა და შექმნის პირობების უზრუნველყოფა. წინამდებარე სტატიის მიზანია კლასტიზაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლებზე მსჯელობა და საქართველოსთვის მისი საჭიროების შეფასება.

1. გლობალიზაცია და კლასტიზაცია

გლობალიზაციის შედეგად წარმოების ფაქტორები უფრო მოქნილი და მობილური ხდებიან, ძლიერდება კონკურენცია ქვეყნებს შორის, რის გამოც ქვეყნების (და აქედან გამომდინარე კომპანიების) განვითარებისთვის და კონკურენტებზე უპირატესობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ტექნიკური პროგრესი, არამედ საწარმოებს შორის ურთიერთკავშირები, რამაც დასაბამი მისცა ახალ ქსელურ სტრუქტურებს – კლასტიზაციას.

კლასტიზაციის ცნება ეკონომიკურ ლიტერატურაში 80-იანი წლებიდან გავრცელდა. იგი შემოიღო ამერიკელმა მეცნიერმა მაიკლ პორტერმა. ამ ცნების სამი ვრცელი განმარტება არსებობს:

► **მ. პორტერი:** „კლასტიზაცია ეს არის განსაზღვრულ დარგებში გეოგრაფიული ნიშნით

კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზებული მომწოდებლების, მომსახურების მომწოდებლების, შესაბამის დარგებში მომუშავე ფირმების, ასევე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფები რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს“ [Porter M., M., 2003, გვ. 101].

► **ნ. ლარიონოვა:** „კლასტიზაცია ეს არის განსხვავებულ დარგებში მომუშავე სამეურნეო საქმიანობით ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურაში და განსაზღვრული მიზნით ერთობლივად ფუნქციონირებენ“ [Ларионова Н., 2007, გვ. 16].

► **ტ. ციხანი:** „კლასტიზაცია ეს არის ვერტიკალური საწარმოო ჯაჭვი, სექტორთა ვიწრო წრე, რომელშიც პროცესის მომიჯნავე ეტაპები წარმოქმნიან კლასტიზაციის ბირთვს“ [Цихан Т., 2003, გვ. 22].

ამრიგად, კლასტიზაცია განიხილება როგორც ტერიტორიული და სივრცობრივი ურთიერთდაკავშირებული საწარმოების ქსელი, რომლებიც ერთიანდებიან სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის ირგვლივ და ვერტიკალური კავშირებით დაკავშირებული არიან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან. მეცნიერები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ისინი თვლიან, რომ კლასტიზაცია დარგებს და სექტორებს ჩაენაცვლებიან.

საზღვარგარეთული გამოცდილება (აშშ, ფინე



თი, გერმანია, იტალია და სხვ.) ცხადყოფს, რომ კლასტერული მიდგომა მთელ მსოფლიოში აღიარებულია, როგორც გლობალურ დონეზე ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების წარმატებული პოლიტიკა. მას განაპირობებს [Аничин В., Чутай Д., 2008, გვ. 16]:

1. ახალი ტექნოლოგიების და მეცნიერების ახალი მიღწევების დანერგვა, ახალი ცოდნის გავრცელება (ამის „მომწოდებლები“ არიან კლასტერში შემავალი სამეცნიერო-ტექნიკური პარკები, კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტები, ბიზნეს-ინკუბატორები და სხვ.);

2. „იაფ“ დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა (ამის „მომწოდებლები“ არიან კლასტერში შემავალი ბანკები და არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციები);

3. სხვადასხვა საქმიან ინიციატივაზე სამთავრობო ორგანოებიდან ნებართვების მიღების სისწრაფე და სიადვილე (ამის განმახორციელებლები არიან კლასტერში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები) და სხვ.

კლასტერების თეორია ფართოდ გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. საყოველთაოდ ცნობილია აშშ-ს კლასტერი – „სილოკონის ველი“, ფინეთის სატყეო და ქაღალდის, შესაფუთი მასალების და პოლიგრაფიული წარმოების კლასტერები, ნორვეგიის გემთმშენებლობის კლასტერი და იტალიის კლასტერი სახელწოდებით „სამრეწველო რაიონი“ და მრავალი სხვ. ცნობილია აგრეთვე ავსტრიის 76 კლასტერი, აშშ-ის 28 კლასტერი, დიდი ბრიტანეთის 25 კლასტერი, იაპონის 30 კლასტერი, დანიის 29 კლასტერი, ესპანეთის 33 კლასტერი და ა.შ. [ბარათაშვილი ე., თაკალაძე ლ., გრძელიშვილი ნ., 2010, გვ. 95-120].

ზემოთხაზოთვლილი მაგალითები იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში კლასტერებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ამას ვერ ვიტყვით საქართველოზე. განსხვავებით სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნებისაგან – რუსეთი, უნგრეთი, სლოვენია, ყაზახეთი, უკრაინა და სხვები, – საქართველოში კლასტერიზაციის პროცესი ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

საქართველოში დღევანდელ ეტაპზე მიმდინარეობს ბუნებრივი კლასტერიზაციის პროცესი (სქემა „ქვევიდან ზევით“). სათანადო კვალიფიკაციის არქონის გამო მისი მონაწილეები ამ პროცესს ვერც კი იცნობიერებენ. ზოგიერთი ქართველი მეცნიერი ასეთ ბუნებრივ ჩანასახოვან კლასტერად მიიჩნევენ თიხის ჭურჭლის წარმოება-გაყიდვას სოფელ შროშაში, თბილისში, შარდენის ქუჩაზე გასართობ-კულტურულ დაწესებულებათა თავმოყრას, სიღნაღში და მის რაიონში ტურიზმის განვითარებას და ა. შ. [მესხია ი., გველესიანი ე., 2010, გვ. 101] არცერთ მათგანს ჯერ-ჯერობით სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა არა აქვს და ამდენად ისინი არაფორმალურად მიიჩნევიან.

2. კლასტერების ფორმირების პოლიტიკა.

რადგან კლასტერი ახალი ფენომენია, მის შესახებ მსოფლიოში ჩამოყალიბებული თეორია (ან თეორიები) არ არსებობს. მისი უნიფიცირებული არც ორგანიზების და მართვის სისტემაა შექმნილი. კლასტერულ ინიციატივებს ნაწილს ყავს თავისი მენეჯერი, ზოგიერთს კი მენეჯერთა გუნდი. ისინი ხელმძღვანელობენ კლასტერულ ინიციატივის რეალიზაციას. თუ მათ აქვთ ამის პრაქტიკული გამოცდილება, მაშინ მოცემულ კლასტერულ ინიციატივას წარმატებითაც ახორციელებენ.

საერთოდ კლასტერის აგება შეიძლება 3 სქემით:

- „ქვევიდან ზევით“ – სქემით;
- „ზევიდან ქვევით“ – სქემით;
- შერეული სქემით.

„ქვევიდან ზევით“ სქემით კლასტერების შექმნის დროს ქვემდგომი პროექტები, პროგრამები და საწარმოები თავიანთი ინიციატივით ერთიანდებიან და ინტეგრირდებიან კლასტერად. ეს პროცესი ხდება ბუნებრივად და არაფორმალურად;

„ზევიდან ქვევით“ სქემის დროს კლასტერს ადგენს ზემდგომი ორგანო, მაგალითად ქალაქის მერია.

შერეული სქემით შექმნილი კლასტერი ერთობლივად ორივე მიდგომით არის ფორმირებული.

ჩვენი აზრით, კლასტერი დარგობრივი სამინისტროს ტიპის იურიდიულ პირად (კერძო ან სახელმწიფო) უნდა დარეგისტრირდეს, დაენიშნოს გენერალური მენეჯერი, აირჩეს სამეთვალყურეო საბჭო, ჩამოუყალიბდეს ფუნქციონალური სამსახურები, განესაზღვროს (ახლო და გრძელვადიანი პერსპექტივაში) შესასრულებელი პროგრამები და პროექტები, გამოეყოს დაფინანსება და ა. შ.

ჩემი სადისერტაციო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე რომელიც ეხება სამშენებლო კლასტერს, საჭიროდ ვთვლი, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მათ შორის თბილისში შეიქმნას შპს „თბილისის სამშენებლო კლასტერი“, რომელშიც შევლენ თბილისის ყველა სამშენებლო ფირმები, აგრეთვე საშენ მასალათა, დეტალების, კონსტრუქციების, მანქანების და ა. შ. მომწოდებლები, ქალაქის მერიის „მშენისსპექცია“ და აგრეთვე ტექნიკური უნივერსიტეტი (მშენებლობის ფაკულტეტის დეკანატი) და ი. ზავროვის სახელობის თბილისის საპროექტო-კვლევითი ინსტიტუტი.

მოცემული სამშენებლო კლასტერი სხვა ტიპის კლასტერებისგან იმით იქნება გამორჩეული, რომ ეყოლება წევრების მეტი რაოდენობა და მიზნების ფართო სპექტრი, მოცემული კლასტერის ფუნქციონირება დაეყრდნობა შეიძლება ძირითად პრინციპებს:

1. ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა, როცა მონაწილე ორგანიზაციებთან სათაო ორ-



განიზაციის ურთიერთქმედების შედეგად შემუშავდება ახალი ინფორმაცია, როგორც საქმიანი აქტივობის მამოძრავებელი ძალა (ურთიერთკონსულტაციები, ურთიერთდავალიანებათა ჩათვლები, ურთიერთინტერესების დაცვა, სასწავლო სემინარების მოწეობა და ა. შ.);

2. ერთიანი კომერციული და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელშიც შევა სამშენებლო პროდუქციის გასაღება და სერვისული მომსახურება, საინვესტიციო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი საქმიანობის განხორციელების კუთხით და სხვა;

3. პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება.

ამ პრინციპების დაცვით ჩვენს მიერ რეკომენდებულ კლასტერში გაფართოვდება ფინანსური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობები (ეს იქნება გრანტები, ინვესტიციები და სხვა), შესაძლებელი გახდება სამშენებლო პროდუქციის თვითღირებულებისა და კლასტერში შემავალი ორგანიზაციების მომსახურების ფასის შემცირება. ამის გარდა, რეკომენდებულ თბილისის სამშენებლო კლასტერში შესული ორგანიზაციები, ადვილად შეძლებენ თავიანთ ინტერესების დაცვას თბილისის ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, რადგან ქალაქის მერია იქნება ამ კლასტერის თანამონაწილე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს კლასტერი თბილისის მერიასთან ერთად იმუშავებს ერთობლივ პროექტებზე, მაგალითად, უბინაო მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, ახალდაქორწინებულთათვის. ეს ბინები მათ გადაეცემათ საბაზრო ფასთან შედარებით 40-

50% ფასდაკლებით.

თბილისის ბინათმშენებლობაში ჩვენი კლასტერული ინიციატივა მოითხოვს რამდენიმე ამოცანის გადაუდებელ მოგვარებას.

1. ქ. თბილისის მერიამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს თბილისის რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება კლასტერების შექმნას;

2. ქ. თბილისის მერიამ შექმნას ბინათმშენებელი კლასტერის ჩამომყალიბებელი საბჭო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მის შექმნას;

3. შეირჩეს კლასტერის სამართლებრივი ფორმა (მაგალითად, ჰოლდინგი);

4. შეირჩეს მისი მონაწილეები, მათი მონაწილეობით შედგეს სამუშაო გეგმა და საერთო განზრახულობათა ოქმი;

5. გამოყოს ქ. თბილისის მერიამ კლასტერის შტაბ-ბინისთვის ფართობი.

დასკვნა

როგორც აღვნიშნეთ, საზღვარგარეთ, არა მხოლოდ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, არამედ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებშიც კი, მრავალი კლასტერია შექმნილი. ეს სიახლე ჩვენთანაც უნდა დაინერგოს. ამ მხრივ საქართველოში ყველაზე პერსპექტიული დარგი არის მშენებლობა, კერძოდ, ბინათმშენებლობა.

ქ. თბილისის მერია უნდა გახდეს ამ საქმის ინიციატორი. მას ხელეწიფება ჩამოყალიბოს თბილისის ბინათმშენებლობის კლასტერის დამფუძნებელი საბჭო და შეუქმნას მას მუშაობის სათანადო პირობები.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Портер М., 2003, Конкуренция, М., Дело.
2. Ларионова Н., 2007, Кластерный подход в управлении конкурентоспособности региона, Экономический вестник Ростовского университета, №1, часть 2.
3. Цихан Т., 2003. Кластерная теории Экономического развития, Теория и практика управления, №5.
4. Аничин В., Чутай Д., Перспективы развития

малочно-продуктового кластера в Белгородской области, Экономика региона №24, 2008.

5. ბარათაშვილი ე., ფარესაშვილი ნ., აბრალავა თ., 2012, ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა, თბ., ტექნიკური უნივერსიტეტი.

6. მესხია ი., გველესიანი ე., 2010, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ. უნივერსალი.

PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF CLUSTERS IN GEORGIAN CONSTRUCTION

TENGIZ TSAGAREISHVILI - PhD student of GTU
zhvelia65@mail.ru

Summary

The article “Prospects for the Development of Clusters in Georgian Construction” analyses the guidelines of the clusters, their essence, the viewpoints of different scientists about them. In addition the article underlines that the clusters will replace the branches.

The article considers the advantages of clusters against the branches. It characterizes spread condition of clusters. As notes the article the process has just started in Georgia. In this regard the construction and in particular residential housing has great prospects.